ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

29 მარტი ხუთშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 74 (15591)

ხუთწლედი — ვადაზე!

ვინც თავი ისახელა

რიჟამი, ჯემპი, ხარისხი!

- თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისის“ კოლექტივმა ორ თვეში გეგმის გადამეტებით მომხმარებელს 81 ათასი წყვილი წინდა მიაწოდა.
- ბათუმის ქარხანა „ელექტროხელსაწყოს“ კოლექტივმა გამოუშვა ახალი სახის ტრანსფორმატორი.
- მეტი მეცხოველეობის პროდუქტები ნაკლები დანახარჯებით.

ახალი ტექნიკა, პროდუქცია

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ხუთწლედის მესამე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში პირველი წარმატება მოიპოვა ჯრუჭლი ავეჯის კომბინატის კოლექტივმა. აქ პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალება 26 მარტისათვის შესრულეს. გადაწყვეტილი აქვთ თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მომხმარებელს 80 ათასი მანეთის ავეჯი მიაწოდონ.

კომბინატში დაუცხრომლად ზრუნავენ პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, ასორტიმენტის გაფართოებისათვის. აითვისეს და მალე მასობრივად გამოუშვებენ ტაბურეტებსა და საბავშვო სკამებს. ამუშავებენ მაგარი და ნახევრადრბილი სკამების ახალ მოდელებს. მათი დამზადებისათვის ფართოდ იქნება გამოყენებული გრეხილ-წებილი დეტალები.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს კომბინატი თავის პროდუქციის პირველად გაგზავნის საზღვარგარეთ. ვათვალისწინებულია ავსტრიაში გაგზავნონ 23 ათასი ცალი სკამი.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გაბედულად ნერგავენ ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიას. აქედან მიმდინარეობს საშრობი კამერების რეკონსტრუქცია, რის შემდეგაც შრომის პროცესი 12 საათით შემცირდება. გრეხილი დეტალების საამქროში მონტაჟდება აგრეგატი, რომელიც პროდუქციის გამოშვებას 30 პროცენტით გაადიდებს და, რაც მთავარია, მკვეთრად გაუმჯობესებს ხარისხს. ახალი კონვეიერის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ მთლიანად მოისპობა ხელით შრომა, მნიშვნელოვნად გაიზრდება შრომის ნაყოფიერება.

აფართოებენ მომსახურების ზონას

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). წინდების ფაბრიკა „კრწანისის“ კოლექტივმა ხუთწლედის მესამე წლის ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება. რის შედეგადაც იმატა პროდუქციის გამოშვებამ, გაუმჯობესდა ხარისხი. მეწინავეებმა პროდუქციის რეალიზაციის ორი თვის დავალებას 12 ათასი მანეთით გადაჭარბეს, ნატურპროდუქციის გეგმა 105,6 პროცენტით გაანაღდეს და მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 81 ათასი წყვილი წინდა მიაწოდეს.

ამ წარმატებას აქ იმით მიაღწიეს, რომ მოწინავე ქვეოსტატები და ნოვატორი მჭოველები აფართოებენ მომსახურების ზონას, მუდამ იმის ფიქრში არიან, რომ მინიმუმამდე შეამცირონ მანქანების მოცდენები. ქვეოსტატი ნორმით ოთხსისტემიან ავტომატურ 12 საქსოვ დაზგას უნდა ემსახურებოდეს. ბ. გომაძე კი 17 დაზგას უვლის, მანქანები მუდამ წესიერ მდგომარეობაში აქვს. მისი მჭსოველები ექვსის ნაცვლად 8-9 დაზგას ემსახურებიან.

მოწინავე მჭსოველები ც. გონიაშვილი, ნ. ლოლაშვილი და ლ. მიქაელიანი სისტემატურად 8 დაზგას ემსახურებიან და დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. აქ წესად დამკვიდრდა, თუ რომელიმე მჭსოველი სამუშაოდ არ გამოვიდა, მოწინავე მჭსოველები მათს დაზგებსაც ითავსებენ და ამით საწარმოს თავიდან აცილებენ დაზგების მაცდენებს, ამიტ ხელს უწყობენ საწარმოს არ ჩამორჩეს გეგმის შესრულებაში.

გამარჯვებული მეცხოველეები

ჩხოროწყუ. („კომუნისტის“ კორ.). სოციალისტური შეჯიბრების ფარგოდ გაშლილ, პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებით ჩხოროწყუელმა მეცხოველეებმა ნაკისრი ვალდებულება ვადაზე ადრე გაანაღდეს. პირველ კვარტალში სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 1.100 ცენტნერი ხორცი. ეს დავალება გადაჭარბებით გაანაღდეს.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის საქმეში წინ მიდიან ბაბა ჩხოროწყუს, ხაბუმის, ლესიჭინის, ჭოლის კოლმეურნეობები.

სოფელ ჭოლის კოლმეურნეობაში მეცხოველეობის ფერმის მწველავმა ო. გაბელიამ რაიონში უველას აჯობა. მან 20 მარტამდე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 ცენტნერისა მიიღო 37 ცენტნერი რძე. ასევე წარმატებები აქვთ ს. გოგუაძეს, სოფელ ხაბუმის კოლმეურნეობის წევრებს ლ. დიხამინჯიას, მ. დარსალიას, კ. შენგელიას და სხვ.

მინდვრად, ბაღ-ვენახებში

ზნაური. (საკ. კორ.). ზნაურის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო შაქრის ჭარხლის თესვა. „საქსოფლტექნიკის“ ზნაურის რაიგანყოფილების მექანიზატორები გ. პეტრიაშვილი და გ. ხუციშვილი ბაღების შეწყმლვაზე მუშაობენ. უკვე შეწყმლულია 35 ჰექტარი ბაღი. ბაღებში ჩატარდა რიგთა შორის ხვნა, გასხვლა, შეტანილია სასუქი.

ასევე ყურადღებით ეკიდებიან ზნაურის კოლმეურნეობაში ვენახებსა და შემოდგომის ნათესებს.

სკოლიდან ფერმებში

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე თიანეთის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმაში სამუშაოდ მოვიდნენ ახალგაზრდა გოგონები — ბ. ჯუგაშვილი და თ. მგელიაშვილი. ბეჯითმა ქალიშვილებმა მალე ისახელეს თავი. შარშან 816 კვერცხდებელ ქათამზე მიიღეს 49.200 კვერცხი. გეგმა კი 35 ათასი იყო.

მიმდინარე წლის თებერვლიდან გოგონებმა უფრო ძნელ უბანზე — მეცხოველეობის ფერმაში ისურვეს მუშაობა. თვითეულს მოსავლელად 12 ძროხა ჩაბარეს.

ლ. უშიკიშვილი,
თიანეთის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი.

გვირაბ-გამყვანთა ახალი უგანი

თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კოლექტივს შარშან № 26 უბანი შეემატა. ახალუბნელებმა მოკლე ხანში დაამკვიდრეს მოწინავე კოლექტივის სახელი. აქაურმა გვირაბგამყვანებმა დამკვირვებელი ტემპით გაჩაღეს შრომა და ვადაზე ადრე დაამთავრეს სადგურ „კომკავშირელიდან“ სადგურ „დელისის“ მიმართულებით 1,5 კილომეტრი სიგრძის გვირაბის გასაყვანად საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები. — სამუშაო კი ცოტა როდი იყო, — ამბობს უბნის უფროსი მ. ჭყონია, — გადავიტანეთ არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციები, ამოვიღეთ ასობით კუბური მეტრი გრუნტი, დავამონტაჟეთ 20-ტონიანი ხარიხა ამწე. ამ სამუშაოებზე თავი ისახელეს ა. დათაშვილის მემონტაჟეთა და მ. ჭუმბურიძის გვირაბგამყვანთა ბრიგადებმა. ქების ღირსი არიან მექანიკოვატორეები ჯ. ზაზულია და ბ. სივალოვი, მებულდოზერე ა. ანთიძე, ამწის მემანქანე ტ. კიკნაძე, უბნის ინჟინერ-მექანიკოსი თ. ყიფიანი, გვირაბგამყვანები ვ. ბარბაქაძე, შ. ხაბალაევი, რ. ფოლიევი, შ. სამხარაძე, გ. მოსიაშვილი. ამჟამად უბნის კოლექტივი მზა სექციებით გვირაბის გაყვანის ექსპერიმენტს ახორციელებს. გვირაბის ღია წესით გაყვანის ასეთი მეთოდი მეტად ეფექტურია. სექციები ადგილობრივ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხანაში მზადდება. სურათებზე: მარცხნივ — გვირაბში აწყობენ მზა სექციას; მარჯვნივ — მემონტაჟეთა ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. დათაშვილი.

ვ. ბენგზერის ფოტო.

ᲩᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

ქარხანა „ელექტროხელსაწყო“ ბათუმში ერთ-ერთი ახალგაზრდა საწარმოა. მოეხდა ადრე ამისა, ამ ორიოდე წლის წინათ ქარხანას პროფილის შეცვლა მოუხდა. პირველი საორგანიზაციო სიძნელეები ისევე, გადალახულია და საწარმო სრული დატვირთვით ამუშავდა. ახლახან ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საამქრო, რომელმაც უკვე გამოუშვა პირველი პროდუქცია — მშრალი სამრეწველო ტრანსფორმატორი.

ასეთ ტრანსფორმატორებზე სახალხო მეურნეობაში დიდი მოთხოვნილებაა. სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებს წლის ბოლომდე საწარმომ მომხმარებელს მიაწოდოს 37 ათასამდე ასეთი ტრანსფორმატორი, აქედან პროდუქციის 40 პროცენტი საექსპორტო დანიშნულებისაა. (ხაკ. კორ.).

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ

ხუთწლედის მესამე წლის გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. პირველი წარმატება მოპოვებულია. 25 მარტისათვის გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა. მომხმარებელმა დავალების გადამეტებით მიიღო რამდენიმე ათეული ტონა კირი, დიდი რაოდენობით ლუდი, ხილის წყლები.

კომბინატის კოლექტივი ახლა იმისათვის იბრძვის, რომ თვის ბოლომდე სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს ათასობით მანეთის პროდუქცია.

ეს რეკორდიც აღნობა კომბინატის დირექტორმა რ. წიქარიშვილმა.

ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ

ტოკიო, 28 მარტი. (საკდესი). იაპონიის პრემიერ-მინისტრმა კ. ტანაკამ მიიღო სსრ კავშირის ელჩი ო. ა. ტროიანოვსკი, რომელმაც იაპონიის მთავრობის მეთაურს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის საპასუხო წერილი.

ᲑᲘᲠᲛᲔᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲓᲒᲖᲐᲕᲜᲔᲜ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

რანგუნი, 28 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირისა და ბირმის კავშირის კულტურული გაცვლის გეგმის შესაბამისად დღეს თბილისში გაფრინდა ბირმის კინომუშაკთა დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს „კინოს საქმეთა კორპორაციის“ გენერალური მმართველი უ მაუნ მაუნ ქხინი, ბირმელი სტუმრები ეწვევიან აგრეთვე მოსკოვს, ტაშკენტს, დუშანბეს.

ᲩᲘᲚᲔᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

სანტიაგო, 28 მარტი. (საკდესი). ჩილეს პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ საწიოობ რიგი ცვლილებები მოახდინა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში. მთავრობის რეორგანიზაცია გამოწვეულია ახალი პოლიტიკური ვითარებით, რომელიც ქვეყანაში შეიქმნა 4 მარტს გამართული პარლამენტის არჩევნების შემდეგ, როცა სახალხო ერთიანობის კოალიციამ მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა.

მთავრობაში ექვსი ახალი მინისტრია. შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა სოციალისტი ხერარდო ესპინოსა კარილიო, საზოგადოებრივ სამუშაოთა და ტრანსპორტის მინისტრი — მიწების ათვისების ყოფილი მინისტრი რადიკალი უმბერტო მარტინესი, სამთამადნო მრეწველობის მინისტრი — მემარცხენე ქრისტიანული მოძრაობის წარმომადგენელი სერხიო ბიტარი, სოფლის მეურნეობის მინისტრი — სოციალისტი პედრო იდალგო, მიწების ათვისების მინისტრი — რობერტო კუელიარი (დამოუკიდებელი სახალხო მოქმედების პარტია), მთავრობის გენერალური მდივანი მინისტრის რანგით — რადიკალური პარტიის წარმომადგენელი ანიბალ პალმა.

კაბინეტის ახალ შემადგენლობაში თავიანთი პოსტები შეინარჩუნეს კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა — ეკონომიკის, განვითარებისა და რეკონსტრუქციის მინისტრმა ორლანდო მილიასმა, ეუნტიციის მინისტრმა სერხიო ინსენსომ, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა — ლუის ფიგეროამ. საგარეო საქმეთა მინისტრი, ისე როგორც უწინდელ შემადგენლობაში, პრის კლოდომირო ალმეიდა, ეროვნული თავდაცვისა — ხოსე ტოა. (ორივე სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი). ფინანსებისა — ფერნანდო ფლორესი (ერთიანი სახალხო მოქმედების მოძრაობა).

ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ვარშავა, 28 მარტი, (საკდესი). პოლონეთის პრესის სააგენტომ აქ გავრცელა პოლონეთის „ან-24“ თვითმფრინავის იმ კატასტროფის მიზეზების გამომძიებელი კომისიის კომუნიკე, რომლის შედეგადაც დაღუპნენ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის შინაგან საქმეთა მინისტრები. კომუნიკეში აღნიშნულია: კატასტროფის მიზეზი ის იყო, რომ „დაჯდომის დროს თვითმფრინავმა უეცრად დაკარგა სიმაღლე, რაც გამოიწვია ცივი და თბილი ფრონტების ძლიერმა საჰაერო გადანაცვლებამ. თვითმფრინავის მართვა გაუარესდა მზიდი სიბრტყეების შემოყინვის შედეგად“.

„ფრენის უკანასკნელი სტადიის ანალიზი, — ნათქვამია კომუნიკეში, — გვიჩვენებს, რომ პილოტმა სცადა გამოეყენა თვითმფრინავი ამ მდგომარეობიდან, მაგრამ თვითმფრინავი მეტად დაბალ სიმაღლეზე მიფრინავდა, და ამ მანევრმა თავიდან ვერ აიცილა კატასტროფა“.

კომისიის დასკვნებში აღნიშნულია, რომ ტექნიკურად თვითმფრინავი წესრიგში იყო, ეკიპაჟი და დედამიწის სამსახურები სწორად მოქმედებდნენ.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

27 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით მყოფი სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ნგუენ თხი ბინი და მისი თანმხლები დელეგაციის წევრები — განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლანგ კუანგ მინი და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩან ვან ტუ.

საუბრის დროს, რომელიც ძმური მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა გაზიარება ურთიერთსაინტერესო მთელ რიგ საერთაშორისო საკითხებზე, მათ შორის სამხრეთ ვიეტნამის მდგომარეობის შესახებ.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის მთელი მოსახლეობის სახელით ნგუენ თხი ბინმა დიდი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მთავრობასა და მოძმე საბჭოთა ხალხს, რომლებიც უწევდნენ და კვლავ უწევენ დიდ დახმარებასა და ეფექტიან მხარდაჭერას ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ᲘᲛᲐᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ საუზმე გაუმართა სტუმრებს. (საკდესი).

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ — ᲒᲐᲜᲣᲡᲠᲔᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ

28 მარტს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების გაერთიანებული სხდომა, განიხილეს მრეწველობის ზოგიერთი დარგის საწარმოებში ქალების შრომის დაცვის კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის საკითხი.

სხდომაზე მოხსენება გააკეთა ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წევრმა ბ. მ. იბრაგიმოვმა.

კომისიებმა მოისმინეს აგრეთვე სსრ კავშირის საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრის ი. ა. გრიშმანოვის, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის მინისტრის კ. ი. გალანშინის, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის ნ. ნ. ტარასოვის, ქიმიური მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილის ლ. ი. ოსიპენკოს ინფორმაციები.

სხდომაზე გამოვიდა კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარე ი. ვ. კაპიტონოვი.

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების, იგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა შრომის კანონების კოდექსების განხორციელება დადებითს გავლენას იქონიებს ქალების შრომის პირობების გაუმჯობესებაზე, ხელს უწყობს სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ამასთანავე კომისიებმა აღნიშნეს, რომ ცალკეულ საწარმოებში ჯერ კიდევ არის ქალების შრომის დაცვის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები.

სხდომაზე გამოვიდა კავშირის

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐᲨᲘ

□

საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარე ი. ვ. კაპიტონოვი.

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების, იგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა შრომის კანონების კოდექსების განხორციელება დადებითს გავლენას ახდენს ქალების შრომის პირობების გაუმჯობესებაზე, ხელს უწყობს სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ამასთანავე კომისიებმა აღნიშნეს, რომ ცალკეულ საწარმოებში ჯერ კიდევ არის ქალების შრომის დაცვის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები.

კომისიების გადაწყვეტილებაში

ᲬᲘᲒᲜᲘ—ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

მოსკოვი. (საკდესის კორ.). სოციალისტური ქვეყნების ბიბლიოთეკები საზოგადოებრივად სასარგებლო ცოდნის გავრცელებას ნამდვილი სახალხო ცენტრები, მშრომელთა ფართო მაესები აღზრდის აქტიური თანაშემწენი გახდნენ. მეოთხედ საუკუნეზე მეტია მოძმე ქვეყნები თანამშრომლობენ ამ დარგში, მიმდინარეობს წიგნის ფართო გაცვლა მათ შორის.

კავშირების სახლში გაიხსნა ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონგოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის საბიბლიოთეკო სამსახურების ხელმძღვანელთა და ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორთა თათბირი.

21 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐᲐ

მᲫᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲗ

ორჯონიკიძე. (საკდესის კორ.). ჩრდილოეთ ოსეთის სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებმა გადაწყვიტეს ვ. ი. ლენინის დაბადების წლისთავი აღნიშნონ კომუნისტურ შაბათობაზე დამკვრელური შრომით. ორჯონიკიძის სრულიად საკავშირო ალკ 50 წლისთავის სახელობის ელექტრონათურების ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 21 აპრილს გამოუშვას 350 ათასი ელექტრონათურა — ჩვეულებრივ დღიურ გამომუშავებასთან შედარებით ათი პროცენტით მეტი.

მოსკოველთა პატრიოტულ წამოწყებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ქარხანა „პობედიტის“ მეტალურგებმა. მათ გადაწყვიტეს „წითელ შაბათს“ იმუშაონ დაზოგილი მასალებითა და ელექტროენერგიით და მიიღწიონ ცვლის რეკორდულ გამომუშავებას — სულ ცოტა 150 პროცენტს.

გᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ — ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐ

ბრიანსკი. (საკდესის კორ.). „დამზადებულია სრულიად საკავშირო კომუნისტური შაბათობის დღეს“ — ამ წარწერით 21 აპრილს ბრიანსკის საგზაო მანქანების ქარხნის კონვეიერიდან გადმოვა 15 ავტოგრეიდერი და 20 ბიტუმის ტუმბო.

წარმატებით ემზადებიან შაბათობისათვის ბრიანსკის სალოკომოტივო დეპოს მშრომელები. მემანქანეთა უმრავლესობამ ამ დღეს მუშაობისათვის უკვე დაზოგა ბევრი ელექტროენერგია, სათბობი და სხვა მასალები.

ნოვოზიბკოვის მკერავები შაბათობის დღეს დაამზადებენ 155 ათასი მანეთის პროდუქციას.

ᲬᲧᲐᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ხარკოვი, (საკდესის კორ.). მანქანათაშენებელი ქარხნების ჩანადენი წყლები პრაქტიკულად სრულიად შეიძლება გაიწმინდოს ნავთობპროდუქტებისაგან. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერები. აქ ზოგადი ქიმიური ტექნოლოგიის, პროცესებისა და აპარატების კათედრაზე პროფესორ გ. კ. გონჩარენკოს ხელმძღვანელობით შეიმუშავეს ჩანადენი წყლების ელექტრაქციული გაწმენდის მეთოდი. წყალს ამუშავებენ სპეციალური გამხსნელით, რომელიც ადვილად შეიძლება აღადგინონ და დაამრეწონ ხელახალი გამოყენებისათვის.

ახალი მეთოდი არსებულ მეთოდებზე ბევრად უფრო იაფია. ახლა მას ნერგავენ ხარკოვის მალიშევის სახელების ქარხანაში, სადაც დაიწყო საწმენდი საამქროს მშენებლობა.

ამავე საწარმოში დაინერგა უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერთა კიდევ ერთი ნამუშევარი. აი ქიმიის კათედრის სპეციალისტებმა ნავთის, ზეთებისა და ნავთობპროდუქტების ნაცვლად, რომლებსაც წინათ იყენებდნენ, შექმნეს წყლის ფუძეზე დამზადებული საპონ-საცავებელი სითხეები. მათი გამოყენება აუმჯობესებს თუჯისა და ფოლადის დამუშავების პროცესს. ეს სითხეები სრულიად უვნებელია ადამიანისათვის, გამორიცხავს გარემოს გაჭუჭყიანებას. მისი ტექნიკურ-ეკონომიური ეფექტი ხუთი მანეთი მოგება თვითეულ დახარჯულ მანეთზე.

ᲙᲘᲜᲝᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

კიევი. (საკდესის კორ.). რობინზონ კრუზოს ამბავმა, რომელიც ყველა ასაკის მკითხველს უყვართ, ახალი სიცოცხლე „პოვა. ოდესის კინოსტუდიაში რეჟისორმა ს. გოვორუხინმა დაიგა ფილმი დანიელ დეფოს ამ ნაწარმოების მიხედვით.

ადამიანის შეუპოვრობა და სიმტკიცე იმარჯვებს ბუნებასთან ოთხთვიანი ბრძოლაში — ასეთია ძირითადი აზრი ახალი კინოსურათისა, რომელსაც უკვე გაეცნენ კიეველები.

მამაცი მოგზაურის როლს ასრულებს პოპულარული მსახიობი ლეონიდ კურავლიოვი, მისი ერთგული მეგობრის პარასკევასას კი ირაკლი ხიზანიშვილი.

მსოფლიო დღეს

უკანასკნელი ამბები

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ IX ᲡᲔᲡᲘᲐ

28 მარტს გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-13 მოწვევის საქალაქო საბჭოს IX სესია.

სესიის დღის წესრიგშია ორგანიზაციული საკითხი.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს დეპუტატ პ. გ. გილაშვილს.

ამხ. გილაშვილს შემოაქვს წინადადება ამის შესახებ, რომ სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაათავისუფლონ ამხ. შ. ე. ბუხრაშვილი.

სესია ათავისუფლებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. შ. ე. ბუხრაშვილს.

ამხ. გილაშვილის წინადადებით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად სესია ამტკიცებს ამხ. თ. ბ. ჯანელიძეს.

სესიაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ. მან აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობა საჭიროებს სტილისა და მეთოდების ძირეულ გაუმჯობესებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებას, უნდა გააქტიურდეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების საქმიანობა, ისინი უნდა დაუახლოვდნენ მოსახლეობას მის საჭიროებებსა და მოთხოვნებს. ფართო ჭეშტივზე დაყრდნობით უნდა ავიყვანოთ საბჭოსა და მისი აღმასკომის მთელი მუშაობა თანამედროვე მოთხოვნათა დონემდე, აღმოვფხვრათ არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი კაპიტალურ და განსაკუთრებით საბინაო მშენებლობაში, მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, კომუნალურ მომსახურეობაში, საქალაქო ტრანსპორტის მუშაობასა და რთული და მრავალმხრივი საქალაქო მეურნეობის სხვა დარგებში.

(საინფორმ).

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲒᲘᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

28 მარტს ბაკურიანში, ალპინური სპორტის ბაზაზე, ალპინისტებმა ჩატარეს ალპინისტური ძალოვნების ტურნირი. ტურნირში მონაწილეობდა 40 ალპინისტი. ტურნირის ფინალურ ეტაპზე ალპინისტებმა ასვლა-ჩამოსვლა ასრულეს ბაკურიანის ბალნეოლოგიურ ინსტიტუტთან,

მიმდინარეობს პარტიული დოკუმენტების გამოცვლა



ახალი გილეთით

ნიკოლაევკომბინატი' კოლხეთის ზღვისპირა ქალაქის სამრეწველო საწარმოთა ფლაგმანია. მისი კოლექტივი 35 წელზე მეტია მკლავმოუღლელად შრომობს და საამაყოთ ავსებს თავისი დიდების წიგნს. ამ წიგნის ფურცლებში აღბეჭდილია კოლექტივის სასახელო საქმეები, რის დამადასტურებელია საკავშირო და რესპუბლიკური საიუბილეო დღიშები და სიგელები, მთავრობის მაღალი ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი, კომუნისტური შრომის საწარმოს სპეციალური წოდების დიპლომი.

და აი ამ სახელმოხვეჭილ კოლექტივს ახლაც ერგო პატივი — მის ავანგარდში მყოფ კომუნისტთა ერთ ჯგუფს ქალაქში პირველთა საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ახალი ნომუნის პარტიული ბილეთები.

110 წევრი და 2 კანდიდატი ირიცხება კომბინატის პირველად პარტიულ ორგანიზაციაში. მათ შორის არიან კვალიფიციური მუშები და ოსტატები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე მაღალი კომუნისტური შეგნებით იღვწიან საერთო საქმის წინსვლისათვის, სახელმწიფო დავალებათა გადამეტებით განაღდებისათვის, სიახლეთა დანერგვისათვის.

დიდი სიხარულითა და სიამაყით მოვიდნენ პარტიის ეს რიგითი ჯარისკაცები პარტიის საქალაქო კომიტეტში. პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ლაკიამ გულითადად მიულოცა ქალაქის კომუნისტთა დიდი ოჯახის პირველ წარმომადგენლებს პარტიული ბილეთების მიღება, უსურვა ახალი წარმატებანი შრომასა და პარტიულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში, ბედნიერება პირადს ცხოვრებაში.

ახალი პარტიული ბილეთები მიიღეს თბომავლის მემანქანემ ა. ახალაიამ, ხარატმა ნ. ბლოხოვმა, ელექტრიკოსებმა ი. ესებუამ, ა. კუდარავამ, სატარე საამქროს მუშამ ნ. შენგელიამ, მთავარმა ენერგეტიკოსმა ა. კაცაძემ, სატრანსპორტო საამქროს უფროსმა ლ. სახბაევამ, ტექნიკური განყოფილების გამგემ თ. სვანიძემ, უფროსმა ლაბორანტმა ო. მაკალათიამ, აგრეთვე ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

— ამ დაფასების პასუხად, — თქვა კომბინატის დირექტორმა ა. ხოროვამ, — კვლავაც თავდადებით ვიშრომებთ და ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმას ვადაზე ორი კვირით ადრე შევასრულებთ, საქმით გავამართლებთ ლენინური პარტიის წევრის დიდ, საპატიო მოვალეობას.

ამ დღეს პარტიული ბილეთი გადაეცა ძველ ბოლშევიკთა პლეადის ერთ-ერთ სახელოვან წარმომადგენელს, სკკპ წევრს 1917 წლიდან დ. ფაჩულიას.

პ. კობაბიძე.

პირველ დღეს...

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში დაიწყო პარტდოკუმენტების გამოცვლა. ამ დიდ პოლიტიკურ კამპანიას წინ უძღოდა გულმოდგინე მოსამზადებელი მუშაობა.

პირველ დღეს — 22 მარტს საქალაქო კომიტეტში მოვიდნენ წარმოების მოწინავეები, ვეტერანი კომუნისტები, სამამულო ომის მონაწილეები, სოციალისტური შრომის გმირები, ახალგაზრდა კომუნისტები...

აი ნოვატორი მეშახტე ნ. ჯულაყიძე. იგი 17 წელია სტალინის სახელობის შახტაში მუშაობს. თავდადებული შრომით მან მუშაობა მთელი კოლექტივის პატივისცემა და ნდობა დაიმსახურა. იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. გოცირიძემ ახალი ნიმუშის პარტიული ბილეთი პირველს მას გადასცა.

შემდეგ პარტიულ ბილეთს იღებს პერსონალური პენსიონერი შ. სოფრომაძე. პირველად პარტიული ბილეთი მან ჯერ კიდევ 1919 წელს მიიღო. ვეტერანმა კომუნისტმა გაიხსენა საქართველოში მეწმენდეებისა და უცხოელი ინტერვენტების ბატონობის წლები, როცა მას, ახალგაზრდა კომუნისტს, არალეგალურ პირობებში უხდებოდა რევოლუციური მუშაობა.

შემდეგ პარტიული ბილეთები გადასცეს გამოცდილ მნგრეველებს ლ. კირკიტაძესა და ხ. ხოფრომაძეს.

პარტიული ბილეთების მისაღებად მიიწვიეს სოციალისტური შრომის გმირი, ვეტერანი შახტმშენებელი პ. ჭელიშვილი, ვეტერანი კომკავშირელები, პერსონალური პენსიონერები ე. ბუბამელი და გ. ქასრაშვილი, ლენინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელები ა. ლაფერაძე და ვ. ობოლაძე, სახელგანთქმული მეჩაიეები ც. გიორგაძე, რ. ცირეკიძე და ც. დოღონაძე, მეფსანნაწილის წამყვანი ქირურგი გ. ვოიტკევიჩი, აგრეთვე ახალგაზრდა კომუნისტები ნ. გონაძე, ო. ტყავაძე, ა. ამყოლაძე, შ. ისაკაძე და სხვები. ახალი ნიმუშის პარტიული ბილეთი პირველ დღეს ორმოცმა კომუნისტმა მიიღო.

ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში პარტდოკუმენტების გამოცვლა ორგანიზებულად მიმდინარეობს.

ვ. ცირეკიძე.

მეშახტეთა ქალაქში

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). პარტიული დოკუმენტების გამოცვლისათვის პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სათანადო მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარეს.

...დღეალური სიჩუმეა იმ ოთახებში, სადაც წარმოებს პარტიული დოკუმენტების გამოცვლა. საღრიცხვო სექტორის გამგე ე. ბრესლავცევი, აქტივისტები ლ. ორმოლიუკი და ტ. ვარატინცევი გულისხმიერად ეკიდებიან თვითეული კომუნისტის დოკუმენტების გაფორმებას, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ, აუჩქარებლად და ზუსტად ავსებენ ახალ პარტიულ ბილეთებს.

პირველ დღეს ახალი პარტიული ბილეთის მიღება წილად ხვდა 18 კომუნისტს. საქართველოს კპ ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. მაკაიამ კომუნისტების ჯგუფს საზეიმო ვითარებაში გადასცა ახალი ნიმუშის პარტიული ბილეთები.

— აფხაზეთში ტყვარჩელელ კომუნისტებს, თქვა ამხ. შაკაიამ, — წილად ხვდათ ბედნიერება რიგით მეორეს დაეწყოთ ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანია. დღეს ახალ პარტიულ ბილეთებს ვაძლევთ ქალაქის კომუნისტების საუკეთესო წარმომადგენლებს.

პარტიული ბილეთები მიიღეს და გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს № 2 შახტის მუშამ, სოციალისტური შრომის გმირმა ლ. ტყუბუჩავამ, ლაკობას სახელობის შახტის მუშამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. ცაბამ, ვეტერანმა მეშახტემ, ლენინის ორდენოსანმა ნ. ხუნტუამ, სკკპ წევრმა 1919 წლიდან ი. ზელენევამ.

ი. გოგბეჩია.

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ამტომატები მცირდება ავტომატურად

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომი

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი სათაურით „ავტომატები მცირდება ავტომატურად“, რომელშიც მოთხრობილი იყო თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ სერიოზულ ჩამორჩენაზე სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში და მთელ რიგ ნაკლოვანებებზე, რასაც ადგილი ჰქონდა ამ საწარმოში პარტიულ-ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის მხრივ.

ამ წერილთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ ჯერ კიდევ ადრე რედაქციას მოსწერა საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ პარტიულმა კომიტეტმა. ამ დღეებში „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ალავიძემ აცნობა:

წერილში „ავტომატები მცირდება ავტომატურად“ მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. პარტიის რაიკომმა გაზეთის მიერ მხილებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ზომების მიღება დაავალა საწარმოო გაერთიანება „თბილელექტროაპარატის“ პარტიულ კომიტეტს, რომელმაც მიმდინარე წლის 4 მარტს თავის გაფართოებულ სხდომაზე დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ქარხნის დირექტორი ო. პეტრიაშვილი და დირექტორის მოადგილე ვ. ხარჩილავა განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით გაერთიანების ფუნქციონალურ განყოფილებებს დავალათ გადაამუშაონ ტექნოლოგიური პროცესები და შეიტანონ კონსტრუქციული ცვლილებები ძირითად პროდუქციაში. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უახლოეს დღეებში დამთავრდება საწარმოს კონვეიერების აღჭურვა ახალი გაუმჯობესებული საგამოცდო სტენდებით. ასორტიმენტის მიხედვით დავალების შესრულების მიზნით რეკონსტრუქცია გაუკეთდება გალვანურ საამქროს.

მთელი რიგი ღონისძიებების მიუხედავად ქარხანა „ელექტროავტომატმა“ მაინც ვერ გაართვა თავი მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში სახელმწიფო დავალებათა შესრულებას და გეგმით გათვალისწინებული 255,5 ათასი ცალის ნაცვლად მხოლოდ 215.644 ცალი ავტომატი გამოუშვა. ეს ჩამორჩენა ძირითადად გამოწვეულია ამ თვეებში ხაჭირო აუცილებელი მასალებით არადამაკმაყოფილებელი მომარაგების გამო.

ამიკამად ქარხნის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ეფექტიან ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა უახლოეს ხანში მთლიანად აღმოფხვრან წერილში — „ავტომატები მცირდება ავტომატურად“ აღნიშნული ნაკლოვანებანი და საწარმოს კოლექტივი მოწინავეთა რიგებში ჩადგეს.

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა გაათავისუფლა პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან და გამოოყვანა რაიკომის ბიუროს შემადგენლობიდან ამხ. ბ. დ. დემეტრაძე.

რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. ა. დ. ჩიკვაიძე.

პლენუმმა გაათავისუფლა რაიკომის მეორე მდივნის მოვალეობისაგან და გამოოყვანა ბიუროს შემადგენლობიდან ამხ. ვ. მ. მოსულიშვილი.

პლენუმმა რაიკომის მეორე მდივნად აირჩია ამხ. ე. ს. ბაკურაძე და გაათავისუფლა ივი რაიკომის მდივნის მოვალეობისაგან.

რაიკომის მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. ვ. ი. ქარუმაძე.

პლენუმმა რაიკომის ბიუროს წევრად აირჩია ორჯონიკიძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ამხ. შ. ა. თითბერიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. პ. გ. გელაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. შ. ვ. უარყარაშვილი.

(საქინფორმი).

ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სესია

გაიმართა ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ გაათავისუფლა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. თ. გ. ბადურაშვილი.

სესიამ ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად აირჩია ამხ. შ. ა. თითბერიძე.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. პ. გ. გელაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. შ. ვ. უარყარაშვილი.

(საქინფორმი).

ნესრიგის გუშაგთა თათბირზე

საპატრულო-საგუშაგო სამსახურის წარჩინებულთა შეკრება

თბილისში, ფ. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში გამართა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოების საპატრულო-საგუშაგო სამსახურის წარჩინებულთა პირველი შეკრება.

შეკრება გახსნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა, მილიციის მესამე რანგის კომისარმა, კ. ე. ეკთიღაძემ.

მოხსენება მილიციის საპატრულო-საგუშაგო სამსახურის მდგომარეობისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ბრძოლაში მისი ეფექტიანობის ამოღლების ღონისძიებათა შესახებ გააკეთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, შინაგანი სამსახურის მესამე რანგის გენერალმა ვ. ი. შადურმა.

შეკრების მონაწილეებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ მუშობის რა გამოცდილება შეიძინეს მილიციის მოძრავმა ჯგუფებმა დანაშაულთა აკილებისა და ცხელ ბალზე დანაშაულის გასწორებაში, ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირების, მოქალაქეებისადმი თავაზიანი, კულტურული და სამართლიან-მომთხოვნელი დამოკიდებულების, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წარმატებული სამსახურის დიდმნიშვნელოვანი პირობის შესახებ. აღიძრა სახალხო დოვლათის დაცვის უზრუნველყოფაში მილიციის განწესების ურთიერთმოქმედების, საპატრულო-საგუშაგო სამსახურების ამოცანების შესრულებაზე საბრძოლო მზადყოფნის გაჯლნის საკითხები.

მილიციის საპატრულო-საგუშაგო სამსახურის წარჩინებულთა დიდი ჯგუფი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატიო სიგელებით, „მილიციის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნებით, ფასიანი საჩუქრებით.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს სსრ მილიციის ყველა მუშაკისადმი, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურს ეწევიან.

(საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 27 მარტს გრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოდნდნენ:

ამხ. რაფიელ კონსტანტინეს-ძე აპრილიანი — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო და საგზაო მანქანების შემკეთებელი ქარხნის დირექტორი, — მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით.

ამხ. კონსტანტინე ონოფრეს-ძე სეფასტოვი — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის შემკეთებელ-მექანიკური ქარხნის დირექტორის მოადგილე, — პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით.

ამხ. გიორგი ალექსანდრეს-ძე ჯაშიაშვილი — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამმართველოს განყოფილების უფროსი — საბჭოთა, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით.

№ 38 პროფტექნიკური

თბილისის № 38 პროფტექნიკური სახსწავლებელი კვალიფიციურ მლარავებს, ზეინკალ-აწყობებს, ელექტრომონტიორებს, რადიომეპარატებსა და სხვა სპეციალისტებს თბილისის საავიაციო და ქიმიურ-ფარმაცევტიკულ ქარხნებისათვის ამზადებს.

ნათელ და კარგად მოწყობილ კაბინეტებსა და ლაბორატორიებში ხაგნების მიხედვით ჩამოყალიბებულია წრეები. აქ მოსწავლეები თვალსაჩინო ხელსაწყოებსა და მომქმედ მაკეტებს ამზადებენ. ცალტრუსოვანთა დასახარისხებელი მანქანის მომქმედ მაკეტს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის ვ. შმელევის ხელმძღვანელობით ამზადებენ მოსწავლეები თემურ სიხარულიძე, ზურაბ ბერიძე, ალბერტ ასატროვი, ვლადიმერ კობზიევი და სხვ.

სახსწავლებლის მრავალი ყურსდამთავრებული ამჟამად სახალხო-დამეურნეოს ზომა-წონასა და ანგარიშში, მოტყუების, სახელმწიფო საცალო ფასების დარღვევის, საქონელზე გადადებული ფასების გამოცხადების, ფართო მოთხოვნილების საქონლის გადამავლის, მომხმარებელთათვის დანახარჯზე ანგარიშის გამოუშვრლობის, რეკვეპტურის დარღვევის, კალკულაციისა და მენიუს არასწორად შედგენის ფაქტები.

ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობის ინდუსტრიის განვითარებას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მეცხრე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის.

ვაჭრობაში დამსახინჯებათა წინააღმდეგ ბოლო დროს სისტემატური და მკაცარი ზომები ხორციელდება. როგორც წესი, უშუალო დამნაშავის გარდა ისჯება, თანამდებობიდან ადმოხსნადეც კი, ვაჭრობის ან საზოგადოებრივი კვების იმ საწარმოს ხელმძღვანელი, სადაც დაირღვა ფასები და ვაჭრობის წესები.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფო საცალო ფასებისა და ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვევები, სამწუხაროდ, არც ისე ცოტაა.

შემოწმებათა შედეგების ანალიზი საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ რესპუბლიკაში სახელმწიფო საცალო ფასებისა და ვაჭრობის წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მიზანსწრაფული და დამაკმაყოფილებელი. ცოტა როდი იქნა დადგენილი თბილისის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის და მთელი რიგი სხვა ქალაქებისა და რაიონების საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ზომა-წონასა და ანგარიშში, მოტყუების, სახელმწიფო საცალო ფასების დარღვევის, საქონელზე გადადებული ფასების გამოცხადების, ფართო მოთხოვნილების საქონლის გადამავლის, მომხმარებელთათვის დანახარჯზე ანგარიშის გამოუშვრლობის, რეკვეპტურის დარღვევის, კალკულაციისა და მენიუს არასწორად შედგენის ფაქტები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამას წინათ ეკ კვების საწარმოებში ზომა-წონასა და ანგარიშში, მოტყუების, სახელმწიფო საცალო ფასების დარღვევის, საქონელზე გადადებული ფასების გამოცხადების, ფართო მოთხოვნილების საქონლის გადამავლის, მომხმარებელთათვის დანახარჯზე ანგარიშის გამოუშვრლობის, რეკვეპტურის დარღვევის, კალკულაციისა და მენიუს არასწორად შედგენის ფაქტები.

**ასეთი ფაქტები ადასტურებენ, რომ ეკ-ის ზოგიერთ ხელმძღვანელებს, ეკ-ის ზოგიერთ მუშაკებს, ეკ-ის ზოგიერთ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, ეკ-ის ზოგიერთ ბრიგადირებს, ეკ-ის ზოგიერთ ოსტატებს, ეკ-ის ზოგიერთ ბუღალტრებს, ეკ-ის ზოგიერთ ფინანსურ მუშაკებს, ეკ-ის ზოგიერთ ინჟინერ-ეკონომისტებს, ეკ-ის ზოგიერთ ინჟინერ-ტექნიკურ, ეკონომისტ-ანალიტიკოს, ბუღალტერ-ანალიტიკოს, ფინანსურ-ეკონომისტ-ანალიტიკო

მსოფლიო დღეს

ᲙᲐᲠᲐᲥᲐᲡᲘ

მონოპოლიებს უარი სტკიცეს

28 მარტი. (საკდესი). ვენესუელას არ სურს სავაჭროდ გახადოს თავისი რომელიმე ნავთობი-ანი რაიონი იმის გულისათვის, რომ სანაცვლოდ გასაღების ბაზრები მიიღოსო, განაცხადა ქვეყნის სამთამადნო და ნავთობის მრეწველობის მინისტრმა უგო პერეს ლა სალვიამ გაზეთ „ნასიონალისათვის“ მიცემულ ინტერვიუში. ჩვენი მტკიცე პოზიცია ამ საკითხში, თქვა მან, მთლიანად შეესაბამება ვენესუელის მთავრობის პოლიტიკას, რომელიც უარს იცხადებს უცხოეთის კომპანიებისათვის ახალი კონცესიების მიცემაზე.

როგორც აქ ვარაუდობენ, უ. პერეს ლა სალვიას განცხადება პასუხია დასავლეთის ზოგიერთი საინფორმაციო საგენტოს იმ ცნობებზე, რომ ამერიკის წარმომადგენლებს ვენესუელის მთავრობისათვის მიუმართავთ წინადადებით მიანიჭონ ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებს ორინოკოს რაიონში ნავთობის ბუღობების დამუშავების უფლება.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

სოფია. 27 მარტი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების სესია, რომელზეც მთავრობის საქმიანობის შესახებ ანგარიში გააკეთა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ს. ტოდოროვმა.

ს. ტოდოროვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1972 წელს ბულგარეთის მთავრობის საქმიანობა მიმდინარეობდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებებისა და შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ამაღლებისა და მეექვსე ხუთწლედის დავალებათა გადაჭრაბებით შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით. სახელმწიფო-კოოპერაციული მრეწველობის პროდუქციის გამოშვება 1971 წელთან შედარებით 8,3 პროცენტით გადიდდა.

ბულგარეთი განუწყვეტლივ ავითარებს ეკონომიურ ურთიერთობას მომძე სოციალისტურ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან და პირველ რიგში საბჭოთა კავშირთან. ცხოვრებამ დაადასტურა, რომ შორსმკვრეტელური და სწორია სსრ კავშირთან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის ლენინური კურსი.

ᲙᲐᲘᲠᲝ

ᲔᲒᲕᲘᲠᲘᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

28 მარტი. (საკდესი). აქ გამოცხადებულია ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ახალი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც შეადგინა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა ანვარ სადათმა.

ახალ კაბინეტში პრემიერ-მინისტრის ოთხი მოადგილეა: აბდელ კადერ ჰატემი — კულტურისა და ინფორმაციის საკითხებში, მამდუჰ სალემი, რომელიც აგრეთვე მეთაურობს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აბდელ აზიზ ჰიგაზი, რომელმაც ერთსა და იმავე დროს ფინანსთა, ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის მინისტრის პოსტი დაიკავა, და აბდელ აზიზ ქაფელი — პრემიერ-მინისტრის მოადგილე რელიგიის საკითხებში და ვაკუფების (რელიგიური ქონების) მინისტრი.

ახალი კაბინეტის მინისტრებს შორის არის უწინდელი მთავრობის 17 წევრი, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრი მუჰამედ ჰასან ეს-ზაიათი, სამხედრო მინისტრი აქმედ ისმაილ ალი და სხვ.

ახალ მთავრობაში ინფორმაციის მინისტრი გახდა მუჰამედ მურად ჰალები, ხოლო კულტურის მინისტრი — ოუსეფ ეს-ხიბი, რომელიც აზიადფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის გენერალური მდივანია.

გენერალურმა აბდელ ფათაჰ აბდალამ დაიკავა კაბინეტის საქმეთა სახელმწიფო მინისტრის პოსტი, გენერალმა ახმედ მუჰამედ საბეთმა — მომარაგებისა და საშინაო ვაჭრობის მინისტრის პოსტი, იბრაგიმ ხალმ მუჰამადენი გახდა მრეწველობის მინისტრი, ისმაილ ფაჰმი — ტურიზმის მინისტრი.

ᲐᲜᲙᲐᲠᲐᲨᲘ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲭᲣᲭᲧᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ანკარა. 27 მარტი. (საკდესი). აქ დამთავრდა თურქეთის ჰაერის გაუუქყიანების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოების კონგრესი. ოფიციალური მონაცემების თანახმად, ჰაერის სისუფთავით თურქეთის დედაქალაქი მსოფლიოში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა. დღეიდან დღე ეს პრობლემა სულ უფრო მეტად აღელვებს ქვეყნის საზოგადოებრიობას.

კონგრესის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ, თუ სასწრაფო ღონისძიებებს არ განახორციელებენ, უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში ანკარაში ცხოვრება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲠᲐᲪᲘᲜᲓᲘ

ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘᲡ ᲢᲐᲑᲘᲫᲘᲡ მდიდარი, მაღალნიჭიერებით მადლმოსილი და დიდოსტატობით აღბეჭდილი შემოქმედება საბჭოთა ეპოქის ქართული პოეტური კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი და ვამოხატულებაა. ამასთანავე ეგი მრავალსაუკუნოვანი ეროვნული მწერლობის, ეროვნული პოეზიის საოკეანესო ტრადიციების ბუნებრივი და ორგანული გაგრძელებაა. ამიტომაც მოიპოვა გალაკტიონის პოეტურმა ჩანგმა საყოველთაო-სახალხო სიყვარული და აღიარება.

80 წელი შესრულდა გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან. ამ თარიღის ღირთოდ აღნიშნვისათვის შექმნილია მთავრობის რესპუბლიკური საიუბილეო კომისია, რომელიც ფართო მოსამზადებელ სამუშაოს ატარებს.

საიუბილეოდ დამთავრდება გალაკტიონის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა 12 ტომად, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა მომზადა (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“). პოეტის ნაწარმოებთა ბოლოდროინდელ გამოცემებს შორის პოლიგრაფიული შესრულების მხრივ ერთ-ერთი საუკეთესოა „რჩეული ლირიკა“ (1913-1959 წწ.) ორ ტომად. ეგი გამოვიდა „სამახსოვრო ბიბლიოთეკის“ სერიით, რომელსაც „საბჭოთა საქართველო“ სცემს ვახტანგ ჭელიძის რედაქტორობით, ორტომეულს შემდგენელია პოეტი ვახტანგ ჯავახაძე, მხატვარი — ნოდარ მალაზონია, გამომცემლობის რედაქტორი — ბ. ხარანაული. ორტომეულის ტირაჟია 30.000 ცალი.

აქვე ვბეჭდავთ რამდენიმე ლექსს ორტომეულიდან.

სურათზე: გალაკტიონ ტაბიძის სასაჩუქრო გამოცემის პირველი ტომის თავფურცელი.

ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

1930 წელი

რევოლუციონერს, ჯერ არნახულს, ჯერ
არგაგონილს,
უდიდესს თავის ნებისყოფით,
გმირულს უაღრესს,
თვალწინ გადაშლილ გარდატეხათ
უდიადეს აზრს,
მრავალი ათას მტკიცე ძაფით
დაკავშირებულს;
აღფრთოვანებას მასებისას, მილიარდიან
ძლიერ ტალღებად რომ მიღელავს
ახალის ძალით,
უსასტიკესი დაძინებით რომ ანგრევს
კარებს
მილიონების უფართოეს
ჰორიზონტებთან,
ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ
ნგრევას ძველისას,
კარჩაკეტილი ცხოვრებიდან — გავიდეთ
მზეზე.
ულმობელ ტრიალს ისტორიის მედგარი
ბორბლის,
რევოლუციონურ საქართველოს,
ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს,
განსაცვიფრებელს, —
რევოლუციონურს, ჯერ არნახულს,
ჯერ არგაგონილს,
ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა,
შენებას!

ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ

1938 წელი

სამშობლოს წინსვლა განაკვირველი,
მზის მხურვალება გარს რომ აფლია,
აი, პირველი, აი, პირველი —
რის სიყვარულიც მე მისწავლია.
შენს გამარჯვებას, ჩანგო, მოველი!
ოჰ, შენთან დღენი ჩემნი წარვლიან,
მედგარი ბრძოლა! აი, ყოველი,
რის სიყვარულიც მე მისწავლია.
გავშლი ძვირფასი ლექსების კონებს:
რა სიუხვეა! რა სიმრავლეა!
გადამასწავლოს — ნურავინ ჰგონებს —
რის სიყვარულიც მე მისწავლია!

ᲗᲐᲡᲘ

1941 წელი

თასს სადღეგრძელოს ხელში ვიღებ
ასსა და ათასს.
დაე, ესმოდეთ: ერთმანეთის
გატანა ვიცით,
შეხედეთ ამ თასს, მეომრებო,
შეხედეთ ამ თასს,
იგი სავსეა არა ღვინით,
არამედ ფიცით.

ქართველის ფიცით, ვისიც ენლა
ისმენთ გულისთქმას,
მარად ერთგულის გრდემლის, კალმის,
ხმლისა და გუთნის,
მებრძოლის ფიცით, რომ არასდროს
არ ჩავაგებთ ხმალს —
მის დასაცავად, ვის სიცოცხლე
ჩვენი ეკუთვნის.

უსამშობლოდ დე, ის ღვინო
გადამექცეს შხამად
და სასიკვდილო გაზმორებად
მოედოს ძარღვებს,
როგორც ეკუთვნის, როგორც უნდა
განსაცდელ ჟამად,
ვინაც ფიცსა სტეხს, ვინაც ძმობის
სიმტკიცეს არღვევს.

სამშობლოს ჩვენსას ბევრი ომი
გადუტანია,
მრავალ ქარიშხალს გვიხატავდა
ცხოვრება ქართლის,
ის თავდადების და გმირობის
მატიანეა,
ეხმაურება იმ ხმალს ჩვენი
ხმალი სიმართლის!

თასს უკანასკნელს ვცლი. დავცალე!
გადავდიგარ მას,
დაე, დაიმსხვრეს მტერი ჩვენის
მძლავრი სიმტკიცით!
ახსოვდეს ყველას, ვინც აიღებს
ამ მშობლიურ თასს,
რომ ის სავსეა არა ღვინით,
არამედ ფიცით.

ᲙᲣᲗᲗᲚᲔᲓᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ — ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ კომუნისტურ აღზრდაში საბჭოთა ლიტერატურის როლს, ჩვენი სინამდვილის, კომუნისტური მშენებლობის გაკანების ასახვაში მწერლების ამოცანებს განიხილავენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის IV პლენუმზე, რომელმაც 28 მარტს დაიწყო მუშაობა ა. ა. ფადეევის სახელობის ლიტერატურთა ცენტრალურ სახლში.

მოხსენება — „მწერალი და ხუთწლედი“ გააკეთა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა გ. მ. მარკოვმა.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არაერთხელ მომხდარა საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობის მოვლენები, რომლებისადმი დამოკიდებულებაც მწერლებს თავიანთ საზოგადოებრივ მოვალეობად მიაჩნდათ, თქვა მან. მეცხრე ხუთწლედი, მისი გეგმების, მისი მეოთხე, გადამწყვეტი წლის დავალებათა წარმატებული შესრულებისათვის ბრძოლა მთელი ხალხის, მთელი ქვეყნის, და მაშასადამე, ყველა მწერლის საქმეცაა.

პლენუმის მიზანია მიაპყროს ყურადღება ხალხის ცხოვრების ყველაზე არსებითს, ძირეულ პრობლემებს, — აღნიშნა მომხსენებელმა,— რომლებიც დასახულია პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში და განვითარებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე. ამ ისტორიული დოკუმენტების აზრები და დებულებანი ღრმად სწვდება და შთაგონებს თვითეულ საბჭოთა ადამიანს, თვითეულ საბჭოთა მწერალს.

ორატორთა გამოსვლებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ხელოვანის მოქალაქეობრივი პოზიციის, მისი იდეური სიმტკიცის საკითხებს, მის ადგილს შუაზა მწყობრში.

29 მარტს პლენუმი მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

◆

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲡᲞᲘᲠᲐᲚᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

● **რომში** ეიზიტიდი არის ახლახან არნეული არგენტინის პრეზიდენტი ე. კამპორა, რომელიც რამდენჯერმე შეხვდა ამ ქვეყნის ყოფილ მეთაურს ხ. პერონს. ამ შეხვედრების დროს მათ განიხილეს არგენტინის ახლანდელი მდგომარეობის პრობლემები. ე. კამპორა მიიღეს იტალიის პრეზიდენტმა ჯ. ლეონემ და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჯ. ანდრეოტიმ. საუბრების დროს მათ განიხილეს იტალიისა და არგენტინის ორმხრივი კავშირურთიერთობის საკითხები.

● **ოლსტერში** კვლავ დაძაბული მდგომარეობაა. 27 მარტს დილაადრიან ბომბის აფეთქებით დაინგრა კათოლიკური კლუბი ბელფასტის ანტრიმ-როუდის რაიონში. ადგილობრივ მცხოვრებთა და ინგლისელ ჯარისკაცთა შორის იტეხილი გაფფრებული ბრძოლის დროს დაბა ნიუტაუნჰამილტონში (არნის სავრაფო) მოკლეს ერთი ირლანდიელი. გუშინ ბელფასტში საეიალურმა ტრიბუნალმა ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯა სამ ახალგაზრდა ქალს.

● **ფრანგეთში.** როგორც მონრეოიდან (ლიბერია) იუწყებიან, აქ დაამტკიცეს თავდაცვის მინისტრის თანაშემწე სანაპირო დაცვის საკითხებში პრინს ბრაუნი და ორი არმიელი ოფიცერი. მათ ბრალად ედებათ ლიბერიის ახლანდელი მთავრობის დამხობის ცდა. ეს აცნობა ბრესის წარმომადგენლებს ლიბერიის იუსტიციის მინისტრმა კლარენს ლ. სიმპსონმა.

● **ამერიკის** ავიაცია, მათ შორის „ბ-52“ სტრატეგიული ბომბდამშენები, 27 მარტს კვლავ ბომბავდა კამბოჯის განთავისუფლებულ რაიონებს. ეს ჰონოლულუში გაანაცხადა წყნარი ოკეანის რაიონში განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენელმა.

● **ბრაზილიის** ქალაქ სან-სებასტიანის სანავსადგურო ხელისუფლებმა ინგლისური ტანკერი დააჯარიმეს 426.000 კრუზეიროთი (დაახლოებით 71.000 დოლართ). მას ბრალად დასდეს, რომ სისტემატურად არღვევს კანონს გარემის დაცვის შესახებ. გასტვირთვის შემდეგ ტანკერმა ნავთობის ნარჩენები გადაღვარა ზღვაში. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ეს ჯარიმა უდიდესია იმ ჯარიმებს შორის, რომლებიც უცხოთის გემებს ბრაზილიის ნავსადგურებში გადაახდევინეს 1967 წელს გარემოს დაცვის კანონის მიღების შემდეგ.

● **კოლუმბიის** ქალაქ ბარანკილიის ნავთობქიმიურ ქარხანაში მომხდარი აფეთქების შედეგად 10-ზე მეტი კაცი დაიღუპა და 30 დაშავდა. ხანძრით მიყენებული ზარალი 5 მილიონ დოლარს უდრის.

ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲘ

ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ ᲑᲘᲭᲣᲜᲐ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ. ქალაქ კავარნაში მცხოვრები ვერგილ მავროდიევი სულ ოთხი წლისაა, იგი თავისუფლად კითხულობს, ანგარიშობს, კარგად თამაშობს ჭადრაკს. თავისი ძმის — მეორეკლასელის წერითს გაკვეთილებს რომ ნახავს, ვერგილი ხშირად მიუთითებს მას დაშვებულ შეცდომებზე. „სამ თვეში, — ამბობს ადგილობრივი ბიბლიოთეკის თანამშრომელი, — ბავშვმა ბულგარელი და უცხოელი მწერლების 80-ზე მეტი წიგნი წაიკითხა. პირველად ვხვდები ასეთ ნიჭიერ ბავშვს“. **ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ:** ვერგილი დედასთან ერთად.

ბულგარეთი — საგდესის ფოტო.

ᲢᲧᲕᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲚᲐᲪᲘᲚᲐ

ᲯᲐᲜᲝᲜᲘ, 27 მარტი. (საკდესი). 21-დან 25 მარტამდე სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ საიგონის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს კუანგჩის პროვინციაში გადასცა 1.451 კაცი — საიგონის არმიის სამხედრო პერსონალის წევრები, რომლებიც ომის დროს დაატყვევეს. გადაცემის ცერემონიის დროს 20 ყოფილმა ტყვემ სთხოვა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებით რევოლუციურ მთავრობის ნება დართოს დარჩნენ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებულ რაიონებში.

თხიენგოში (ტეინინის პროვინცია) 21-დან 23 მარტამდე საიგონის ხელისუფალთ გადეცათ კიდევ 35 ტყვე ოფიცერი.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატების მთავრობის საგანგებო ეკონომიურ ღონისძიებათა „მესამე ფაზა“ არსებითად ეფექტური ვერ გამოდგა. ინფლაცია, უმუშევრობა, სიღატაკე შეერთებული შტატების სამინაო ცხოვრების უმწვავეს სოციალურ-ეკონომიურ პრობლემად რჩება. თუმცა ეკონომიკა უკვე გამოდის კრიზისული მდგომარეობიდან, მაგრამ დაქვეითების მოვლენები მთლიანად როდია დაძლეული, მრეწველობის ცალკეულ დარგებში საწარმოო სიმძლავრენი მთლიანად მაინც არ არის დატვირთული. ასეთია ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ კონგრესის აღართთანებული ეკონომიური კომისიის იმ მოხსენების ძირითადი დებულებანი, რომელიც ეს-ეს არის გამოქვეყნდა.

მოხსენება, რომელიც ეყრდნობა გასული წლის სტატისტიკურ მონაცემებს, პესიმისტური ტონით არის დაწერილი. ოპტიმიზმით არ გამოირჩევა არც უახლოესი მომავლის პროგნოზები.

„კომისია, — ნათქვამია მოხსენებაში, — ვერ ხედავს განსაკუთრებულ მიზეზებს, რომ კმაყოფილი იყოს 1972 წლის შედეგებით“ ან „შედეგად შესაქმროდეს 1973 წელს“. მოხსენების ავტორებს აშკარად ამფოთებთ მთელი რიგი პოტენციურად საშიში პროცესები. ისინი, კერძოდ, აღნიშნავენ, რომ „ძლიერდება დისპროპორცია, რომელმაც შეიძლება მთლიანად გააქარწყლოს ეკონომიური გამოცოცხლების პროცესი“ „ქედან გამომდინარე ყველა ნეგატიური შედეგი.

განსაკუთრებული შეშფოთებით არის ლაპარაკი მოხსენებაში ინფლაციის სპირალის შესახებ. „ფასები, — აღნიშნულია მოხსენებაში, — კვლავ შეუწყნარებლად სწრაფი ტემპით იზრდებოდა“. მოკვანილია მონაცემები სურსათის საბითუმო ფასების მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ. ახლახან აღინიშნა ამ ფასების ინდექსის უმაღლესი მატება ამ ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში.

ავტორებს გამოაქვთ დასკვნა, რომ მიმდინარე წელს „გარდუვალია სურსათის შემდგომი სწრაფი გაძვირება“. ინფლაციას, რომელიც გრძელდება, წერენ ისინი, შეუძლია შეაფერხოს ქვეყნის ეკონომიური გამოცოცხლების პროცესი და უფრო გაადიდოს უმუშევრობა.

რას შეიძლება ნიშნავდეს ასეთი პერსპექტივა, შეიძლება გამოჩენილთ ახლანდელი სიტუაციით. უკვე ახლა, მოხსენების მონაცემებით, მთლიანად ან ნაწილობრივ უმუშევარ ამერიკელთა საერთო რიცხვი 7.250.000 კაცს აღემატება.

მოხსენებაში მოხსენიებულია ლარიბთა 25 მილიონნახევარ ამერიკელ.

ყველა ამ მონაცემის საფუძველზე ძნელი როდია გამოვიტანოთ დასკვნა, თუ ვისთვის გამოდგა ხელსაყრელი „ეკონომიკის სტაბილიზაციის“ საგანგებო პოლიტიკა, რომელსაც მთავრობა ახორციელებს.

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲜ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ

ᲑᲐᲜᲙᲝᲙᲘ, 28 მარტი. (საკდესი). საიგონის ადმინისტრაცია განაგრძობს სამხედრო პროფოკაციებს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებული რაიონების ცალკეულ უბნებზე და ამით არღვევს შეთანხმებას ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ. ამას იუწყება განთავისუფლების პრესის საგენტო.

ცენტრალურ პლატოზე ამ ბოლო ოთხი დღის მანძილზე საიგონის არმიის ქვეგანაყოფებმა 150-ჯერ მიიტანეს იერიშები პროვინციული ცენტრის კონტუმის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში და № 19 გზატკეცილის გასწვრივ განლაგებულ რაიონებში. საიგონის ავიაციამ 100-ზე მეტი ბომბი დაუშინა ზუთპოის რაიონს, დაინგრა საცხოვრებელი და სასეანური ნაგებობანი, მოსახლეობაში არის მსხვერპლი.

დარლაკის პროვინციაში საიგონის ქვეგანაყოფებმა სამჯერ მიიტანეს იერიშები ბუონპოს დასავლეთით და კუანგნამიეუს ჩრდილოეთით მდებარე რაიონებზე, რომლებსაც კონტროლს უწევს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის თავდაცვითი რევოლუციური მთავრობა.

მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს ნათესებმა და ეკეთხა ქონებამ კანთოს პროვინციის სოფელ თუანგკუნგში, აგრეთვე მითხოს პროვინციის პაუმიბაკის დასახლებულ პუნქტში, როცა საიგონის არმიის მე-15 პოლკის ნაწილებმა ხეადეს შეჭრილიყვნენ განთავისუფლებულ რაიონში. განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა საკადრისი პასუხი გასცეს პროვოკატორებს.

განთავისუფლების ეროვნულმა ფრონტმა და ბინზინოხეის პროვინციის სახალხო რევოლუციურმა კომიტეტმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც გულისწყრომით გმობენ იმას, რომ საიგონის ადმინისტრაცია ხიტტმატურად არღვევს პარიზის შეთანხმებას ვიეტნამის შესახებ. განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან დღემდე საიგონის დივიზიების მე-5 და მე-18 ქვეგანაყოფებმა ტანკების, არტილერიისა და ვერტმფრინავების მხარდაჭერით 200-ზე მეტი იერიში მიიტანეს პროვინციის განთავისუფლებულ რაიონებზე, დაანგრიეს 1.000-მდე საცხოვრებელი ნაგებობა და უდიდესი ზარალი მიაყენეს ბრინჯის ნათესებს. იმ ტერიტორიაზე, რომელსაც კონტროლს უწევს საიგონის ადმინის ტრაცია, კვლავ აპატიმრებენ მშვიდობისა და ეროვნული თანხმობისათვის მებრძოლ პატრიოტებს.

საიგონის ადმინისტრაციამ, ხაზგასმულია განცხადებაში, დაუყოვნებლივ ბოლო უნდა მოუღოს შეთანხმების დარღვევებს და ზუსტად დაიცვას მისი ფორმა და შინაარსი.

„ᲝᲥᲢᲔᲠᲘᲡᲢᲕᲔᲜ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ“ ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲡ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სოფია, 27 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „ოქტენსტვენ ფრონტმა“ გამოაქვეყნა სარედაქციო კომენტარი, რომელშიც ხაზს უსვამს, რომ მაო ძე-დუნის მიერ საფიქრებული ეგრეთ წოდებული „კულტურული რევოლუციაა“ უწინარეს ყოვლისა მიმართული იყო ჩინეთის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, რომელიც, მისი თვალსაზრისით, „გამოუსადეგარი“ აღმოჩნდა მაოისტური თეზისებისა და შეხედულებების განხორციელებისათვის. არსებითად, ეს იყო ლანგარი პარტიის ორგანიზაციული საფუძვლებისა და სტრუქტურის მიმართ, რაც მის ნგრევასა და ლიკვიდაციას მოახმარებდა.

მაგრამ მაო ძე-დუნმა ვერ დიმორჩილა კომუნისტები. ამას მოწმობს ამ ცოტა ხნის წინათ დაწყებული „პროპაგანდისტული კამპანია „რევიზიონიზმის კრიტიკისა და სტილის გამოსწორებისათვის“.

„რევიზიონიზმის კრიტიკა“, წერს გაზეთი, ნიშნავს „ლიუ შაო-ცის ტიპის მოღალატეების“, მისი შეხედულებების, ხაზის პოლიტიკის „მხილების“ დაუსრულებელ გამეორებას. „მხილების“ ნაცად ხერხებს ბანქკუთვნება გამასარავება, დამამტკიცებელი საბუთების ნაცვლად უსუსური იარლიყების მიწებება, ოფიციალურად დამკვიდრებული მაოს ციტატების გადაღეჭვა.

„რევიზიონიზმის კრიტიკისა და სტილის გამოსწორებისათვის“ კამპანია ხაზს უსვამს „ოქტენსტვენ ფრონტი“, როგორც ჩანს, ასახავს მაოისტთა ხელმძღვანელობის უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ჯეროვნად ვერ „გაანალიზურეს“ მარქსიზმ-ლენინიზმი, რომ პარტიის ხელმძღვანელები და რიგითი წევრები ჯეროვნად არ აღიქვამენ „მაო ძე-დუნის იდეებს“ და მაო შორის გაფლენა არ დაუკარგავთ ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობის გადაწყვეტილებებსა და მარქსისტულ-ლენინურ იდეებს.

ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲡᲞᲘᲠᲐᲚᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ ეიზიტიდი არის ახლახან არნეული არგენტინის პრეზიდენტი ე. კამპორა, რომელიც რამდენჯერმე შეხვდა ამ ქვეყნის ყოფილ მეთაურს ხ. პერონს. ამ შეხვედრების დროს მათ განიხილეს არგენტინის ახლანდელი მდგომარეობის პრობლემები. ე. კამპორა მიიღეს იტალიის პრეზიდენტმა ჯ. ლეონემ და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჯ. ანდრეოტიმ. საუბრების დროს მათ განიხილეს იტალიისა და არგენტინის ორმხრივი კავშირურთიერთობის საკითხები.

● **ᲝᲚᲡᲢᲔᲠᲨᲘ** კვლავ დაძაბული მდგომარეობაა. 27 მარტს დილაადრიან ბომბის აფეთქებით დაინგრა კათოლიკური კლუბი ბელფასტის ანტრიმ-როუდის რაიონში. ადგილობრივ მცხოვრებთა და ინგლისელ ჯარისკაცთა შორის იტეხილი გაფფრებული ბრძოლის დროს დაბა ნიუტაუნჰამილტონში (არნის სავრაფო) მოკლეს ერთი ირლანდიელი. გუშინ ბელფასტში საეიალურმა ტრიბუნალმა ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯა სამ ახალგაზრდა ქალს.

● **ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ.** როგორც მონროვიიდან (ლიბერია) იუწყებიან, აქ დაამტკიცეს თავდაცვის მინისტრის თანაშემწე სანაპირო დაცვის საკითხებში პრინს ბრაუნი და ორი არმიელი ოფიცერი. მათ ბრალად ედებათ ლიბერიის ახლანდელი მთავრობის დამხობის ცდა. ეს აცნობა ბრესის წარმომადგენლებს ლიბერიის იუსტიციის მინისტრმა კლარენს ლ. სიმპსონმა.

● **ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ** ავიაცია, მათ შორის „ბ-52“ სტრატეგიული ბომბდამშენები, 27 მარტს კვლავ ბომბავდა კამბოჯის განთავისუფლებულ რაიონებს. ეს ჰონოლულუში გაანაცხადა წყნარი ოკეანის რაიონში განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენელმა.

● **ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ** ქალაქ სან-სებასტიანის სანავსადგურო ხელისუფლებმა ინგლისური ტანკერი დააჯარიმეს 426.000 კრუზეიროთი (დაახლოებით 71.000 დოლართ). მას ბრალად დასდეს, რომ სისტემატურად არღვევს კანონს გარემის დაცვის შესახებ. გასტვირთვის შემდეგ ტანკერმა ნავთობის ნარჩენები გადაღვარა ზღვაში. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ეს ჯარიმა უდიდესია იმ ჯარიმებს შორის, რომლებიც უცხოთის გემებს ბრაზილიის ნავსადგურებში გადაახდევინეს 1967 წელს გარემოს დაცვის კანონის მიღების შემდეგ.

● **ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲘᲡ** ქალაქ ბარანკილიის ნავთობქიმიურ ქარხანაში მომხდარი აფეთქების შედეგად 10-ზე მეტი კაცი დაიღუპა და 30 დაშავდა. ხანძრით მიყენებული ზარალი 5 მილიონ დოლარს უდრის.

ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

1930 წელი

ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ

1938 წელი

ᲗᲐᲡᲘ

1941 წელი

მეცნიერი-ენერგეტიკოსი

პროფესორ პავლე შენგელიას დაბადების 70 წლისთავის გამო

ბამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს, ქართული ჰიდროენერგეტიკული სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს, ტექნიკური მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ პავლე გიორგის-ძე შენგელიას დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

პავლე შენგელია დაიბადა 1903 წელს ქუთაისში, შუა-ხელოსნის ოჯახში. 1917 წელს კავშირგაბმულობის მოკლევადიანი კურსების დამთავრების შემდეგ იგი მუშაობას იწყებს ფოსტა-ტელეგრაფში ტექნიკოს-მეთვალყურედ, ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი თბილისში, სადაც მან დაჰყო 1928 წლამდე.

1923 წელს პ. შენგელია შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლად გახსნილ პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე. 1930 წელს მიიღო ინჟინერ-მშენებლის დიპლომი.

ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში 1928 წელს იგი გადაეცა საშუშაოდ რიონის ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო სამმართველოს საპროექტო განყოფილებაში, სადაც მუშაობს ჯერ ტექნიკოსად, ინჟინრის, ხოლო შემდეგ უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე. აქ პავლე შენგელიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო აღნიშნული სადგურის ძირითად ნაგებობათა დაპროექტებაში.

რიონჰესის პირველი რიგის საშუშაოს დამთავრების შემდეგ მას 1932 წელს იწვევენ ტრესტ „ჰიდროენერგობროექტის“ თბილისის განყოფილებაში, სადაც მუშაობდა უფროს ინჟინრად, შემდეგ კი ცალკეული ჰიდროელექტროსადგურების საპროექტო ბიუროს მთავარ ინჟინრად.

1942-1943 წლებში იგი მონაწილეობდა საქართველოში ერთ-ერთი მძლავრი მარეგულირებელი ხრამის ჰიდროელექტროსადგურის, და სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტების დაპროექტებაში.

როგორც მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ენერგეტიკოსი პ. შენგელია 1944 წელს რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით დაწინაურებულ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სგეგმო კომისიაში, სადაც ხელმძღვანელობდა სამობისა და ენერგეტიკის განყოფილებას.

1951 წელს პ. შენგელია დანიშნულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორად.

პ. შენგელიამ ინსტიტუტის ხელმძღვანელობის პერიოდში შექმნა ახალი განყოფილებები და ლაბორატორიები, გაძლიერებულ იქნა არსებული ექსპერიმენტული ბაზა, ასევე დიდი მუშაობა იქნა გაწეული ინსტიტუტში მაღალკვალიფიციური კადრების მოზდვის საქმეშიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტომატიკის განყოფილების ბაზაზე პ. შენგელიამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში არსებული ერთ-ერთი სამეცნიერო დაწესებულების — მართვის პროცესების ინსტიტუტის ჩამოყალიბებას.

1956 წელს მოსკოვში აკადემიკოს კრეი